ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 42
(11 703)

6 - 9 ივნისი, 2003 წ.

ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან





ანჩელოტი კმაყოფილია კახი კალაძის პროგრესით

იტალიური „მილანის" მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ წარმატებული საზაფხულო დასრულების შემდეგ კომენტარი გაუკეთა გუნდის თითოეული ფეხბურთელის თამაშს.

მისი აზრით, ყველაზე დიდ პროგრესს ამ სეზონში მიაღწია ორმა მეკარემ — კახი კალაძემ და დარიო შიმიჩმა. ანჩელოტის აზრით, სწორედ ამ ორმა ფეხბურთელმა დიდი ნაბიჯით წაიწია წინ და კლუბს დაეხმარნენ ევროპის ჩემპიონთა თასის მოპოვებაში.

მათ გარდა ანჩელოტიმ დაწარჩენი ფეხბურთელებისთვისაც არ დაიშურა საქებარი სიტყვები. არც ბრაზილიელი რივალდო გამორჩენია. ანჩელოტი ფიქრობს, რომ მომავალ სეზონში რივალდო უფრო მეტად იბრწყინებს.

„მილანის" თავკაცი აცხადებს, რომ მიღწეულით არ დაკმაყოფილდება და გუნდთან ერთად ახალი მწვრთალების დაპყრობას გეგმავს.

საფოსტო მარკა „კახი კალაძე"

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ირაკლი მემარნეშვილმა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ გადაწყვეტილია საქართველოს საფოსტო მარკების რიცხვს შეემატოს ახალი „სპორტული პორტრეტის" მარკა — „კახი კალაძე". მარკა გამოცა ევროპის ჩემპიონთა თასზე პირველი ქართველი ფეხბურთელის გამარჯვებასთან დაკავშირებით.

მილოცვა

„ლელოს" რედაქცია დაბადების დღეს ულოცავს ამავე რედაქციის ფელეზე სტაჟიან თანამშრომელს, პასუხისმგებელ მდივანს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს ვანდო ხანდამიშვილს.

მილოცვა

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის რექტორატი და თანამშრომლები დაბადებიდან 60 წლისთავს ულოცავენ ამავე აკადემიის ანატომიის კათედრის გამგეს პროფესორ არსენ ელერდაშვილს.

რედაქტორის სვეტი

თასის ფასი

ევროპის ჩემპიონთა ლიგის თასის მოპოვება სანუკვარი ოცნებაა ყველა თავმოყვარე საფეხბურთო ქვეყნისათვის და დიდი გამარჯვება იმ ქვეყნებისთვისაც, რომელთა ლეგიონერებიც ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა ჩემპიონის გუნდში თამაშობენ. ეს დადასტურდა თასის წლევანდელ გათამაშებაში, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ სათავე დაედო ერთ მეტად მნიშვნელოვან და საყურადღებო სიახლეს — თასის ბრწყინვალებით შორიდან კი არ გაიხარონ ფეხბურთის გულშემატკივრებმა, არამედ „ნატურაში" იხილონ იგი, როგორც იტყვიან, პირდაპირ „თვალებში ჩახედონ". და აი, პირველი ფაქტი — ჩემპიონთა თასი უკრანაში ჩავიდა, აწვიეს იმ ქვეყანას, რომლის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელმა ანდრეი შევჩენკომ გოლით ნაოცნებარი ჯილდო მოუტანა „მილანს". თასი სწორედ შევჩენკომ წაიღო თავის სამშობლოში და კიევიდან ამ მომენტის პირდაპირი ტელეგადაცემით საამური ეროვნელის მომგებელმა აღტყინებამ გადაუარა მთელ ქვეყანას.

არის თუ არა ეს მოვლენა ორიგინალური? არის და ან რატომ. ნებისმიერი სფერო ცდილობს გაარღვიოს სტერეოტიპის არტახები და რაიმე სიახლით მიიპყროს ყურადღება. ჩემპიონთა თასის სტუმრობა იმ ქვეყანაში, რომლის ფეხბურთელმა თავისი წონად წვლილი შეიტანა გამარჯვებაში, სწორედ რომ ორიგინალური და სასიამოვნო სიახლეა. სულაც არაა ძნელი წარმოსადგენი ის ეფექტი, რასაც ამ ნოვაციის დამკვიდრება გამოიწვევს ფეხბურთის ავტორიტეტის ამაღლებაში მთელს ევროპაში, ის სტიმული, რაც დაეუფლება ფეხბურთელთა ახალგაზრდ თაობებს, დღევანდელ თუ ხვალის ლეგიონერებს. ვფიქრობთ, ამ უნიკალურ მაორგანიზებელ შესაძლებლობას ხელიდან არ გაუშვებს ამჟამად თასის მფლობელი „მილანი" — დიდ ჯილდოს ლეგიონერთა სხვა ქვეყნებშიც ჩაიტანენ, შემდგომში კი ამ მაგალითს ჩემპიონთა დღის სხვა ლაურეატებიც მიბაძავენ. რამდენადაც ვიცით, უეფამ მოიწონა სიახლე. რატომაც არა, უპირველესად ხომ ეს ორგანიზაციაა დაინტერესებული ჩვენს კონტინენტზე ფეხბურთის პატივით და ავტორიტეტით.

კახი კალაძე ევხვაგ გორგასლის III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა

გუშინ, საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ხელი მოაწერა განკარგულებას ევროპის ჩემპიონთა ლიგის თასის მფლობელის, „მილანის" ჭარბოველი ლეგიონერის კახი კალაძის ევხვაგ გორგასლის III ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

დღეს, 13 საათზე, დიდმა საგერთნელი ბაზაზე, სადაც ირლანდიის ნაკრებთან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩზე გამგზავრების წინ შეკრებაზე ჩვენი ეროვნული ნაკრები, კახი კალაძეს საპატიო ჯილდოს გადასცემს საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მემარნეშვილი.

ვნებათაღელვა 300 000 დოლარის გამო

სფფ ხელშეკრულებას შესრულებას მოითხოვს

გუშინ, სფფ-ს გენერალური მდივანი ვალერი ნოლარია რამდენიმე გაზეთის ჟურნალისტს შეხვდა და ფეხბურთის ფედერაციასა და რკინიგზის დეპარტამენტს შორის, 2003 წლის 4 მარტს დადებული ხელშეკრულების ირგვლივ ესაუბრა. იგი კორექტულიც იყო და ამავე დროს, ობიექტიც. სფფ რკინიგზის დეპარტამენტისგან ხელშეკრულების შესრულებას ითხოვს.

ვალერი ჩოლარია: „მოგეხსენებათ, რუსეთთან თამაში 2002 წლის 12 ოქტომბერს ჩაიშალა. ეს რკინიგზის ბრალია თუ თვალსის, ჩვენთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია, მთავარია, ამით, სფფ-მ დიდი ზარალი განიცადა. „ლოკომოტივის" სტადიონზე შუქის ჩაქრობის საკითხს სახელმწიფო კანცელარიაში რამდენიმე შეხვედრა მიეძღვნა. პირფაქიი გეუბნებით, თვით ისაკაძის კაბინეტში მოვილაპარაკეთ რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან აკაკი ჩხაიძესთან ფიქსირებული თანხის შესახებ. ამაზე, რომ საქართველო – ირლანდიის (29 მარტი 2003 წ.), საქართველო – შვეიცარიის (2 აპრილი 2003 წ) და საქართველო – რუსეთის (30 აპრილი 2003 წ) მატჩებზე ბილეთების რეალიზაციიდან და ნაბეჭდ პროდუქციაზე რეკლამის განთავსებიდან მიღებული შემოსავალი სრულად ეკუთვნის შპს „საქართველოს რკინიგზას".

ბილეთების რეალიზაციის და ნაბეჭდ პროდუქციაზე რეკლამის განთავსების უფლების გადაცემისთვის „რკინიგზა" უხდის „ფედერაციას" 300.000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ფიქსირებულ თანხას, ეროვნულ ვალუტაში, დღე-ს ჩათვლით, დამოუკიდებლად ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლისა, შემდეგ ვადებში:

100.000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარებში 2003 წლის 20 მარტამდე, 100.000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარებში 2003 წლის 15 აპრილამდე, 100.000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარებში 2003 წლის 10 მაისამდე. ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დამრღვევი მხარე ვალდებულია ანაზღაუროს მეორე მხარეს მიყენებული ზიანი. ხელშეკრულების 3.2. პუნქტის პირობებით გათვალისწინებული თანხების გადაუხდელობის ან დაგვიანებით გადახდის შემთხვევაში რკინიგზა გადაუხდის ფედერაციას ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე თანხის 0,15 პროცენტს, რაზედაც, წლეულს, 4 მარტს ხელშეკრულებაც გაფორმდა და ორივე მხარემ, რკინიგზამაც და სფფ-მაც ხელშეკრულებას ხელი მოაწერა. მაგრამ აღნიშნული თანხიდან

იხ. 33-ე გვ.

ნაბეჭდი ნაკეთობები:

- სოკ-ის პრეზიდენტის ქაქა როგის მიმართვა
- ვეტერანი ფეხბურთელები - გივი ხოჭოლავა
- ქართველი ფეხბურთელები და დიდი ექვთიმე თაყაიშვილი
- ანდრეი შევჩენკო ჩემპიონთა თასით კიევში
- ნბა-ს კლუბები ევროპას ეწევიან



ინგერგოგოს თასზე

INTERTOTO CUP გაიმართა ინტერტოტოს თასის წლევანდელი გათამაშების ერთ-ერთ ეტაპზე, რომლის შედეგების მიხედვით გუნდები ასე დაწყვილდნენ:

„პაშენი" (ავსტრია) — **„ვეტ ჯორჯია" (საქართველო)**

„ენკამპი" (ბელგია) — „ლიერსი" (ბელგია)

„სპარტაკი" (სლოვაკეთი) — „პობედა" (მაკედონია)

„პარტიზანი" (ალბანეთი) — „მაკაბი ნეტანია" (ისრაელი)

„ბრნო" (ჩეხეთი) — „კოპაიკი" (სომხეთი)

„კოპერი" (სლოვენია) — „ზაგრები" (ხორვატია)

„ვალენციონი" (ლიტვა) — „ერგარიეტე" (შვედეთი)

„დერ ეტო" (უნგრეთი) — „ეთნიკოსი" (კვიპროსი)

„ვიდეოტონი" (უნგრეთი) — „ჩერნო მორე" (ბულგარეთი)

„ოდრა" (პოლონეთი) — „შემროკ რივერსი" (ირლანდია)

„ტამპერე" (ფინეთი) — „ჩახლაული" (რუმინეთი)

„ოფე" (სერბია) — „ტრანსი" (ესტონეთი)

„დინაბურგი" (ლატვია) — „ეილი" (შვეიცარია)

„პოლონია" (პოლონეთი) — „ტობული" (ფინეთი)

„დუნიცა" (სლოვაკეთი) — „ოლიმპიაკოსი" (კვიპროსი)

„დანია კიშნინგი" (მოლდოვა) — „გი გოტე" (ფარერები)

„სლობოდა" (ბოსნია) — „აკუროისი" (ისლანდია)

„შაბტიორი" (ბელარუსი) — „ომგორაული" (ჩრ. ირლანდია)

„ილიანსი" (ფინეთი) — „ჰიბერნიანსი" (მალტა)

„სუტუსკა" (სერბია) — „ფსი" (ლუქსემბურგი)

„ბანგორ სიტი" (უელსი) — „გლორია" (რუმინეთი)

პირველი მატჩები გაიმართება 21-22 ივნისს, ხოლო განმეორებითი — 28-29 ივნისს. თუ „ვეტ ჯორჯია" დაძლევს პირველ ეტაპს, მეორე რაუნდს გამართავს სლოვაკეთის „სპარტაკსა" და მაკედონიის „პობედას" შორის შეკრულებას.



პარველაძემ ოლიმპიელები «დინამოსთან» გამოსცადა

გუშინ, ეროვნულ სტადიონზე, რუგბის ასულაძემ ახალგაზრდული ნაკრები თბილისის „დინამოს" დაუპირისპირა და შეგირდების მზადყოფნა მატჩის მსულელობისას გულდასმით შეამოწმა. — „ნაკრები დაკომპლექტების პროცესშია. მატჩზე მზადების ერთ-ერთი ეტაპია და შემდგომი ვარჯიშები გუნდში პრაქტიკულად უფრო წარმოჩენს მზადმყოფობის დონე კიდევ არის და ნაკრების საბოლოო შემადგენლობას 8 ივნისს, ირლანდიაში გამგზავრებამდე ერთი დღით ადრე დავსახელებ" — განაცხადა მატჩის შემდეგ ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა. მეტოქეთა შემადგენლობა პირობითი იყო, რადგან „დინამოს" კარს ნაკრების მეორე მეკარე ივარდავა იცავდა, ხოლო ლაშა რუხეიშვილმა ორივე გუნდში ითამაშა.

მატჩი ფრედ 1-1 დასრულდა. ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში გოლი ბობოხიძემ გაიტანა, დინამოელებიდან კი კაშიან. მეტოქეთა შემადგენლობა ახალგაზრდული ნაკრები. მამალუკა საჯაია, სალუქვაძე (გამეზარდაშვილი), ინწკირველი, კანდელაკი, ჭოჭუაშვილი, ახალაცი, გ. ნუნე. ჭელიძე, ახალაია (ზეტუანი), ხოჭავა, ბობოხიძე (ლაშა რუხეიშვილი).

დინამო: ივარდავა, წერეთელი, მანწყავა, ეკონია (კაშია), ბაზიაშვილი, ლაშა რუხეიშვილი, პეტრიაშვილი (ნუნუა), სახვაძე, მანჩხაშვილი, შალია, იაშვილი.

ახალგაზრდული ნაკრები მზადებას და ვარჯიშებს ნორჩი დინამოელის ბაზაზე გააგრძელებს.

ლ. ჯაბაკოძაძე.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი დრმა მწუხარებით იუწყება, რომ სანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ მოსკოვში გარდაიცვალა XX საუკუნის 50-იან, 60-იან წლებში მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო წყალბურთელი, სსრ კავშირის 10-გზის ჩემპიონი, 1956 და 1960 წლებში ოლიმპიური თამპიონის პრიზიორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი



ჯეტრე (კაკო) მუშვენიერაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.



ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს 2 წელიწადი და 9 თვე გვაშორებს

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 1 წელიწადი და 2 თვე დარჩა

ერთწელიწადში გაეცნობენ საქართველოს, საქართველო – ქართულ სპორტს!

უკეთ, ვიდრე სიდნეიში!

საქართველოს მძლეოსანთა წარმატება

სასმენზეთის ხუთი და საქართველოს ნაკრები გუნდი მონაწილეობდა სამხრეთ კავკასიის მძლეოსანთა ჩემპიონატში, რომელიც სომხეთის ქ. არტაშატში ჩატარდა. საქართველოს გუნდმა საერთო გუნდურ ჩათვლაში უძლიერესის სახელი დაისაკუთრა. პირად პირველობაში კი მოპოვებულია 13 — პირველი, 8 — მეორე და 4 — მესამე ადგილი. გამარჯვებულებია: **4X100 მ:** იფლია დუბინა, ქცატერინე ტყემალაძე, თამარ ცისვეა, მარიამ ინაშვილი — 48,8 წ. **4X400 მ** (იგივენი) — 3,56,2; **სიგრძე:** დუბინა — 5,97, **სამხტომი:** დუბინა 13,16; **ბირთვი:** მარიამ ქუხილაშვილი — 14,83; **ბაბრო:** ნინო ელიზბარაშვილი — 37,23. **ვაჟები. 200 მ:** ბადრი ბადრიძე — 21,4; **5000 მ:** ზიგმუნდ ზილბერშტეინი — 15,15,0; ბირთვი — მამუკა ტუღუში; **შუბი:** ზურაბ შიოლაური — 58,60; **უროო** — ლერი ჩიტაიშვილი — 60,60. მეორე პრიზიორები. **100 მ:** ინაშვილი — 12,0; **200 მ:** ტყემალაძე — 2,5; **1500 მ:** ნინო თათიულაიძე — 5,06,1; **3000 მ:** თათიულაიძე — 10,44,4; **უროო:** ქუხილაშვილი — 30,33. **ვაჟები. 1500 მ:** ირაკლი ჯაიძე — 4,16,7; თარი. **110 მ:** დავით ილარიანი — 13,9; **400 მ:** ამირან კერკაძიძე — 57,7; **სიგრძე** — ილარიანი — 7,58; მესამე პრიზიორები: **100 მ:** კახაბერ ვაჩეიშვილი — 10,9; **400 მ:** რომა მანჭუაიანი — 51,2; **4X100 მ:** მანჭუაიანი, ბაქრიძე, ილარიანი, ვაჩეიშვილი — 43,3. **შუბი:** ინაშვილი — 25,60.

იფლია დუბინა

მარიამ ძევზიშვილი,
„ლელოს“ სპეც. კორ.

ლიხს იქით და ლიხს აქეთ...

მარცხენა ფოტოზე: თერჯოლის №1 საშუალო სკოლის ფეხბურთელთა ნაკრები; მარჯვენა - თერჯოლის №2 საშუალო სკოლის გუნდი.

თერჯოლა. ერთი თვე მიმდინარეობდა რაიონის პირველობა ფეხბურთში საშუალო სკოლების მონაწილეთა ნაკრებ გუნდებს შორის ორ ასაკობრივ ჯგუფში, თერჯოლის რაიონის ფეხბურთის ფედერაციისა (პრეზიდენტი რეზო გაბრიაძე) და მაყვანის სპორტული სკოლის (დირექტორი რამინ რობაძიძე) ერთობლივი ინიციატივით მოწყობილი ეს ასპარეზობა მიზნად ისახავდა რაიონის ნაკრები გუნდებისათვის კანდიდატების შერჩევას.

1992-93 წლებში 18 გუნდიდან ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს თერჯოლის №2 და ააზანის საშუალო სკოლების ნორჩმა ფეხბურთელებმა. ძირითადი და დამატებითი დრო დამთავრდა ფრედ 1-1, თერთმეტმეტრიანები უფრო ზუსტად თერჯოლელმა ფეხბურთელებმა შეასრულეს და გაიმარჯვეს 4-3 (სკოლის დირექტორი ნარგიზა ცქიფურაშვილი, ფიზხალისის მასწავლებელი იუზა კირკიტაძე და ზურაბ გავაშელაშვილი).

1990-91 წლებიდან მონაწილე 20 გუნდიდან ფინალურ შეხვედრაში თერჯოლის №1 საშუალო სკოლის ალაპრდელებმა (სკოლის დირექტორი ნინელი გვრიტაძე, მასწავლებელი ზურაბ მარტიაშვილი და დათო ფანჩულიძე) 2-0 დაამარცხეს და ივნისიდან ღალიძე.

ჯგუფურთან და დასვენების პაუზაში მოფრო მკლავჭიდელთა ხლბრძალი ტურნირი, ყველაზე მკლაგაკაის სახელი ცოტნე შენგელიამ დაიმსახურა, მეორე იყო ზაზა ჩაჩუა, მესამე — პაატა თაყაძე. ახსოლუტურ პირველობაშიც შენგელიამ იმარჯვა.

„მართვის“ საჭადრაკო კლუბში ჩატარდა შეჯიბრება სწრაფ ჭადრაკში. ამჯე ვიტყვით, რომ სამტრედიაში არაფრით ნიჭიერი, პერსპექტიული მოჭადრაკეა, რომლებიც წარმატებით ასპარეზობენ რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო შეჯიბრებებში. სწორედ ამან განაპირობა, რომ პროფესიონალები და მოყვარულები ცალ-ცალკე ჯგუფებში გამოძღონდნენ. პროფესიონალებში პირველობა არავის დაუთმო 14 წლამდე ასაკის მოჭადრაკემ შორის 2002 წლის მსოფლიოს მესამე პრიზიორმა დავით ჯოჯუამ, მეორე ადგილზე გავიდა ნიკოლოზ ლეკვეშვილი, მესამეზე — სიმონ ხაფაია. მოყვარულთა შორის ადგილები განაწილდა: 1. გიგი თეთლაძე, 2. შოთა ადვილური, 3. ირაკლი დუნდუა.

საზეიმო დღის სპორტული პროგრამა დასრულდა ეროსი მანჯალაძის სახელობის „ლოკომოტივის“ სტადიონზე მატჩით მინიფუტბოლში. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ რაიონის გამგეობა-საკრებულოსა და ქალაქის გამგეობა-საკრებულოს ნაკრები გუნდები. დამაჯერებელი ანგარიშით 4-1 მატჩი მოიგო რაიონის გამგეობა-საკრებულოს ნაკრებმა გუნდმა.

გამარჯვებული და პრიზიორები ფინალის საჭურჭებითა და სიგელებით დააჯილდოვეს რაიონის გამგებელმა მერაბ სტურუამ, ქალაქის გამგებელმა სოსო ახობაძემ, ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარემ ავა უჯმაჯრიძემ და რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ რამაზ თელიამ.

მ. ჩხირძე,
სამტრედიის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ბატონ შაკ როგის მიმართვა

მთელი ოლიმპიური მოძრაობის სახელით მსურს ყველანი მოგიხმოთ 2003 წლის ოლიმპიური რბენის დღეზე. ეს ყოველწლიური ღონისძიება, რომელიც სადრანგეთში, პარიზის სორბონის უნივერსიტეტში ბარონ პიერ დე კუბერტენის მიერ 1894 წლის 23 ივნისს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დაარსების მოსაგონრად წარმოადგენს, 1987 წლიდან მოყოლებული ყოველწლიურად იმართება ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ძალისხმევით.

მსგავსად წინა წლებისა, წლეულსაც ოლიმპიური გარბენის რიგით მე-17 ღონისძიება კვლავ მოიტანს მხიარულებას და სიხარულს მთელი პლანეტის მასშტაბით ყველა ასაკის მილიონობით მამაკაცს, ქალს, ბავშვსა თუ ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანებს.

თითოეული ინდივიდის ფიზიკური აქტივობა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს იმ მიზნისა და პრინციპისა, რომელსაც ჩვენ ყველანი ვიზიარებთ და ვემსახურებით: სპორტი ჩადგეს კაცობრიობის ჰარმონიული განვითარების სამსახურში.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი მოხარულია, რომ ამ პრესტიჟულ ღონისძიებას მაყდონალდსის სახით ჰყავს ახალი მსოფლიო მასშტაბის სპონსორი. წლების განმავლობაში სოკი-ი და მაკდონალდსი წარმატებით თანამშრომლობდნენ სხვადასხვა სფეროში და, მით უმეტეს, სასიხარულოა, რომ ამ თანამშრომლობას სპონსორობის ხელშეკრულების მეშვიდით შეუერთდა ატლეტიკური ოლიმპიური რბენის დღე.

საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს გააჩნია გრძელვადიანი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მთელს მსოფლიოში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. ამიტომაც, დღესდღეობით ოლიმპიური მოძრაობის ერთ-ერთ უმთავრეს ასპექტს წარმოადგენს სწორედ ახალგაზრდობის კეთილდღეობა სპორტის მეშვეობით. სოკ-ს ღრმად სწამს, რომ ამ მიზნის განხორციელებაში მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ოლიმპიური რბენის დღე.

მინდა წრფელი გულით ვეუბნერო წარმატება 2003 წლის ოლიმპიური რბენის დღის ორგანიზატორებს, მონაწილეებს კი ამ ღონისძიებით მაჭიმაღლური სიამოვნება.

რბენის მოყვარულთა საყურადღებოდ!

2003 წლის 22 ივნისს გაიმართება საერთაშორისო ოლიმპიური დღისადმი მიძღვნილი ტრადიციული მძლეოსნური გარბენი.

გარბენის სტარტები ვეტერანების, ინვალიდებისა და 13 წლამდე მოზარდებისათვის სახელმწიფო ფილარმონიიდან, სხვა მონაწილეებისათვის „ლოკომოტივის“ სტადიონის ცენტრალური შესასვლელიდან სტარტი მიეცემა 11 საათზე.

წინასწარი განაცხადი მიიღება საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში (დ. აღმაშენებლის 65) 19 ივნისამდე.

საორგანიზაციო კომიტეტი

სპორტი და პროფესიები

შესწენება ყველასათვის

ჭადრაკის დიდოსტატი სოფო გურგულიანი მდივანი ემზარ ზენაიშვილი, რომელსაც თამაშების უხუცესი მონაწილე, სოფო-ს აღმზრდელებელი დიმიტრი, დავით კინწურაშვილი გულშემატკივრობს.

საქართველოს სპორტმენთა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირმა (თავმჯდომარე ირინდი ბეგიაშვილი) თავისი აქტიურობით, რაც მთავარია, საქმით, ის დრო გააგებსება, როცა მასობრივი სპორტი, ანუ როგორც ახლა ეუწოდებთ — „სპორტი — ყველასათვის!“ პროფკავშირების ღონეთ საქმე იყო. დღეს დარგობრივი პროფკავშირები ვერ იქნიან თუ არ იცილან ხალხის ყოფაში სპორტის სიკეთის დასანერგად, თუმცა ლოზუნგი: „ჯანსაღი ცხოვრების წესი“ ყველას პირზე აქვია. სპორტის დარგობრივი პროფკავშირი იცილის, იცილის იმიტომ, რომ სურვილი აქვს. და აი, ახლა კიდევ ერთი ღონისძიება სტარტზე — დარგის თანამშრომელთა უკვე რიგით მესამე სპორტული თამაშები. შეჯიბრებებში კი ამ სფეროს მუშაკთა გარდა, მათი ოჯახის წევრებიც მონაწილეობენ. ამას დებულება ითვალისწინებს. პროგრამაში: ტყვიით სროლა, მაგიდის ჩოგბურთი, ცურვა, ნარდი, ჭადრაკი, მკლავჭიდი, მძვინვარა, ბადმინტი გადაძახა ანუ სპორტის სახეობები, რომლებიც ხელმისაწვდომია ყველასათვის. ღონისძიების თავდა აფიშნსრულს ზემოხსენებული პროფკავშირი.

თამაშების ეს ეტაპი თბილისში მიმდინარე თვის მეორე დეკადაში დასრულდება.

ც. ბაძრაძე

თბილისი.

გლდანში, მეექვსე მიკრორაიონში წრიული ფორმის იარუსებით შემოზღუდულ ღია მოედანზე გაიმართა გლდანი-ნაძალადევის გამგეობის მიერ დაწყებული ტრადიციული პირველობა ქართული ჭიდაობაში.

ზურნა-დუდუკის ხმაზე ახლო-მახლო მრავალართულიანი სახლებიდან სპეციალურ მაყურებელი, მათ შორის ქალი და ბავშვი მოაწყდა. გაჩაღდა ჭიდაობა. ორგანიზატორებმა სარეკლამო ბლომად დააწებეს სამსაო მაგიდაზე.

იქვე ხის ძირში მიმშელი რჩებდაგრძილი ქეღილი კი გამარჯვებულს ელოდა...

წლევანდელი ტურნირი გლდანელი ზაჭარია მეხიშვილის სახელობის პრიზზე ჩატარდა. მეხიშვილი, 1957 წელს საქართველოს ფალავანის ტიტულის ფლობდა ქართულ ჭიდაობაში.

ჭიდაობამ ოთხი გამარჯვებული გამოაკლინა სხვადასხვა წონით კატეგორიაში. ესენი არიან: დავით ძიგურაშვილი (გლდანი), დიმიტრი ჩინჭარაშვილი (ძცხეთა), კახა ბაძრიაშვილი („ენინამო“) და მთავარი პრიზის — ქეღილის მფლობელი - ბაძრი გავაშელაშვილი (თბილისი).

გესიკ ბაბარიელაშვილი
რობერტ ბაგოთანის ფოტო.

კვირის ფელეტონი

ვიღაცას ვიღაც ჰყავს

ვეტერანი შეხვდურთელები

გივი ხოჭოლავა

სამი „დინამოს“ მსახური – ოდნავის გოლის ავტორი

გივი ხოჭოლავა გასული საუკუნის 50-იან წლებში გამორჩეული ფეხბურთელი იყო. „დინამოს“ შემადგენლობაში და მწვრთნელად მინდორზე გამოსულის პირველსავე დღეებიდან მიიქცია ყურადღება როგორც შემტევმა და ენერგიულმა ფორვარდმა. იგი უფროსებთან არ დარჩენია იმდროინდელ უფხურთის თაყვაცეებს და ერთ-ერთმა მათგანმა ქუთაისის იმდროინდელი გაზეთის „დინამოს“ მოთამაშე მწვრთნელმა, მარჯვენა გარემაზმა სერგო ნინუამ, რომელიც ე.წ. „ზელიონი“ ბაზრის დირექტორობასაც ითავსებდა, თავის გუნდში მიიწვია. ეს ის დრო იყო, როდესაც ქუთაისის „დინამოში“ თითბოლი ზარმა ჩამოკრა. გუნდის კაპიტანმა შთთა ვაჩაძემ კაპიტნის სამკლაურო ნოე ხერხაძეს გადაულოცა, კარიერას ამთავრებდნენ ცნობილი ფეხბურთელები შაია გერაძე, სერგო ბაზაძე, თვით სერგო ნინუა და სხვები. სწორედ ამ გარემოების გამო გივი ხოჭოლავა ზონელ არჩილ დოლაბერიძესთან და სხვა ახალგაზრდა პერსპექტიულ ფეხბურთელებთან ერთად მიიწვიეს ქუთაისის „დინამოში“. გივი ხოჭოლავა მოკლე დროში არათუ შეეფინა ქუთაისელთა ძალზე მობილურ და ტექნიკურ გუნდს, არამედ თბილისის „დინამოს“ მესვეურთა ინტერესიც გამოიწვია და ერთ შვვეირე დღეს, როდესაც ქართული ფეხბურთის ფლაგმანს ძალზე გაუჭირდა — იგი „ისესხა“ წამყვანი ტრავმირებული ფეხბურთელების გამოჯანმრთელებამდე. გივი ხოჭოლავა დიდ ფეხბურთში თბილისის „დინამოს“ იმდროინდელმა უროსმა მწვრთნელმა — მიხაილ იაკუბენამ ე.წ. „ელიკო მიხეილ“ დამოძღვრა, როდესაც საქართველოდან გამოიძახა და მოსკოვში ათამაშა, რომ იტყვიან, „ს კარაბელი ნა ბალ“ — თბილისის „დინამოს“ სათადარიგო შემადგენლობაში. დიდი მწვრთნელის და კიდევ უფრო დიდი პედაგოგის ფხიზელ თვალს რიდი გამოეპარა გივი ხოჭოლავას, როგორც ფეხბურთელს, პიროვნება, რომელსაც ნებისმიერი გუნდისთვის დიდი სარგებლის მოტანა შეეძლო და სწორედ სეზონის დასასრულს, როდესაც საკითხი დადგა გივი ხოჭოლავას ქუთაისის „დინამოში“ დაბრუნებაზე, იაკუბენამ არაორაზროვნად განაცხადა — „გივი ხოჭოლავა დარჩება თბილისის „დინამოში“, იგი გუნდს კიდევ დასჭირდება!“ მართალია, მიხაილ იაკუბენამ ამის შემდეგ დატოვა თბილისის „დინამო“ — მაგრამ გივი ხოჭოლავას დათხოვნას არავინ ახარებდა. იმდენად დიდი გაბედული „ელიკო მიხეილ“ ავტორიტეტი. იმხანად თბილისის „დინამოს“ დაცვის ზაზი — ელოშვილი, ძიაშია, სარჭველაძე — გაუვალ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა ნებისმიერი მოწინააღმდეგისათვის — ამას იმდროინდელი ბევრი სპეციალისტი აღნიშნავდა და მათ შორის ბაზოთა კიკნაძის ოლიმპიური ნაკრების და არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის კაპიტანი ჭყვიშილი ბობროიც. მაღე, 1954 წლის ბოლოს იბრაგიმ სარჭველაძემ თამაში თავი დაანება, ძიაშია ტრავმირებული გახლდათ და თბილისის „დინამოში“ დაცვის მთელი სიმძიმე ელოშვილ ელოშვილს დააწვა... თუმცა იმდროინდელი მწვრთნელები არ ჩქარობდნენ გივი ხოჭოლავას დაცვის ხაზში გამოყენას — იგი ხომ ნომინალურად ნახევარმცველი იყო და ეს ადგილი ზაზი ელოშვილს ეკავა. ასე ასეთ მდგომარეობაში ჩაგვადო რკინიგზის დეპარტამენტის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობამ. ასეთ ვითარებაში ემზადება ეროვნული ნაკრები უმთავრესი მატჩისთვის. გვქონდა სამი შესვედრა, კონსულტაციები, თუმცა უშედეგოდ, აკაკი ჩხაიძემ განაცხადა, რომ თანხას არ გადახდიდა, რაზედაც 28 მაისით დათარიღებული წერილი გაეგზავნეთ რკინიგზის დეპარტამენტს, სადაც ვთხოვეთ: 1. დაუყოვნებლივ შეარჩეს ს.კ. თბილისის „ლოკომოტივი“-ს ყველა საშინაო და საგარეო ტრანსფერს;

2. უფროს მიერ ს.კ. თბილისის „ლოკომოტივისთვის“ გამოყოფილი ყველა თანხა მოხსნილი იქნება სფფ-ს სასარგებლოდ;

3. სახელმწიფო საგადასახადო ინსპექცია ინფორმირებული იქნება თქვენს მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობაზე და ამის გამო სფფ-ს სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შეუძლებლობაზე;

4. სფფ-ს მიერ სასამართლოში შეტანილი იქნება ორი სარჩელი: თქვენს მიერ ხსენებული ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობაზე და 2002 წლის 12 ოქტომბერს საქართველო – რუსეთის მატჩის თქვენი მიზეზით ჩაშლის გამო მოყენებული ზარალის ანაზღაურებაზე. მოგახსენებთ, რომ 30 აპრილს რუსეთთან მატჩი დაჯდა 90.000 დოლარი. 28 მაისის წერილით ჩვენ ვატყობინებთ უშიშროების კომიტეტს, რომელიც ამთავრებს ამ საკითხის გამოძიებას. თუ რას მოვიმოქმედებთ შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე.

ჩვენ მოვითხოვთ 290.000 დოლარის ეკვივალენტს ლარებში პლუს საურავებს. როგორც ხედავთ, ფიფასა და უეფას დახმარებით მივდივართ ორლანდოში. გაძვირებულია ორლანდოში საწვავიც, ეს სხვაობაც დასაფარი გვაქვს. წერილში მოყვანილი ზომები იშუშავებს ბოლომდე და ჩვენს კუთვნილ თანხას აუცილებლად ამოვიღებთ. თუ გადაგვიხდიან, შევიკრიბებით, ვითათბირებთ და შესაბამის გადაწყვეტილებას მივიღებთ.

სამი წერილი გვქონდა გაგზავნილი რკინიგზაში, არც ერთზე პასუხი არ მიგვიღია. ეს უსტატობაც არ არის, ჩვენსას ვითხოვთ და უკან არ დავიხევთ.“

● *არჩევნები ახლოვდება და თუ რკინიგზის ხელმძღვანელობა შეიცვალა, მაშინ ვის მოსთხოვთ ამ თანხას?*

– ახალ ხელმძღვანელობას, არც ჩვენ ვიქნებით მუდამ სფფ-ს სათავეში. ეს არ არის კონკურენტული ეორღანიკა, ჩოლარიას და ჩხაიძის დროს, ეს არის ორგანიზაციებს შორის დავა. სფფ და რკინიგზის დეპარტამენტი ხომ არ უქმდება.

● *რა ელის ამ შემთხვევაში კლუბ „ლოკომოტივს“?*

– არ გადაიხდიან და კლუბი ვერც უმაღლესში, ვერც პირველ ლიგაში ვერ ითამაშებს, იგი დაიშლება. სფფ კი ფეხბურთელებს უფრთხდებოდა არ დატოვებს და მათ აუცილებლად მიხედავს.

● *რას მოგცემთ სასამართლოში ხელი?*

– აქ ორი ეტაპია, სასამართლოს გადაწყვეტილებით, საგადასახადო ინსპექციამ დაადოს ყადაღა რკინიგზის დეპარტამენტის ანგარიშს და სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ მოხსნას თანხა. ამ შემთხვევაში სფფ სუფთად მიიღებს 160 ათას დოლარის ეკვივალენტს ლარებში.

● *თუ გს საკითხი საქართველოს პრეზიდენტამდე მივა?*

– მაშინ, საკითხი რამდენიმე წამში გადაწყდება.

„ყველაფერი, რაზედაც გესაუბრეთ, შეთანხმებულია სფფ-ს პრეზიდენტთან და სფფ-ს აღმასკომთან,“ – განაცხადა შეხვედრის ბოლოს ვალერი ჩოლარიამ.

ირლანდია - საქართველო

მატჩის წინ

საქართველოს ეროვნული ნაკრები მეორე დღეა, რაც თბილისში ვარჯიშობს. ორშაბათს, პირველ ვარჯიშზე ნაკრების თორმეტი ფეხბურთელი შეიკრიბა. სამში და ოთხში კი ნაკრებმა სრული შემადგენლობით ივარჯიშა, მხოლოდ გუშინ შეუერთდა ნაკრებს კახა ცალაძე. ნაკრებს ვერ დაეხმარება სამი ფეხბურთელი: „კობიაშვილი საერთოდ არ ჩამოსულა, რადგან სერიოზული ტრავმა აქვს. ცქიტიშვილი ჩამოვიდა, მაგრამ მთელ ერთ კვირას ვერ ივარჯიშებს, რაც იმას ნიშნავს, რომ 11-ში ის გუნდს ვერ დაეხმარება. რაც შეეხება კვირკველიას, ფურო სერიოზულად არის საქმე ტრავმასთან დაკავშირებით, ვიდრე გგეგონა. საწყენია, რომ ეს სამი ფეხბურთელი გამოგვაკლდება“ — ასეთი კომენტარი გააკეთა ნაკრების თავკაცმა.

ოთხშაბათს, „დინამოს“ ბაზაზე ნაკრებს ზურაბ ხიზანიშვილი, გიორგი ნემსაძე, შოთა არველაძე, ალექსანდრე რებაღიშვილი და გიორგი დემეტრაძე შეუერთდნენ, თუმცა დემეტრაძეს არ უვარჯიშია. „გადავწყვიტეთ გიორგი ცოტა ხნით დაგვესვენებინა, რადგან უკრაინის ჩემპიონატი ახალი დამთავრებულია და, ცხადია, დაღლილი ჩამოვიდა თბილისში — თქვა ივო შუშაკმა.

ჭართველი ლეგიონერები დიდი მონდომებით ვარჯიშობდნენ და ირლანდიელებთან მატჩისადმი ოპტიმისტურად არიან განწყობილნი. „მართალია ავტომანქანა და სწრაფი ვარჯიშები გვაქვს, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელდება. ამას ისეც ჩემი შეგირდებისთვის ვაყენებ რაღაც ემოციები გავლენებით. ამასთან, ვიტოვებ საკმარის დროს, რომ დაისვენონ. რაც შეეხება სარეზერვო ფეხბურთელებს, ვფიქრობ, არც ერთის გამოძახება არ დაგვჭირდება, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ. რა თქმა უნდა, თუ რამე გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდა.“ — დასძინა ხორავამა სპეციალისტმა.

ირლანდიის ნაკრები:

მეკარეები: შეი გივენი („ნიუკასლი“, ინგლისი), ნიკ კოლბი („ბირმინგჰემი“, შოტლანდია), ჯო მერფი („ვესტ ბრომიჩი“, ინგლისი);

მცველები: სტივენ კარი („ტოტენჰემი“, ინგლისი), იან ჰარტი („ლიდს იუნაიტედი“, ინგლისი), ჯონ ო'შეი („ბანჩესტერი“, ინგლისი), რიჩარდ დანი („ბანჩესტერ სიტი“, ინგლისი), გარი ბრაინი („ვესტ ჰემი“, ინგლისი), კენი კანინგემი („ბირმინგჰემი“, ინგლისი);

ნახევარმცველები: ლი კარსლი („ევერტონი“, ინგლისი), მეტ ჰოლანდი („ოფსეტი“, ინგლისი), მარკ კინსელა („ასტონ ვილა“, ინგლისი), ალან ქუინი („შეფილდ უენსდეი“, ინგლისი), ედვინ კლარენი („სანდერლენდი“, ინგლისი), სტივენ მაყფიენი („ლიდსი“, ინგლისი), კოლინ ჰელი („სპურსი“, შოტლანდია);

თავდამსხმელები: სტივენ რიდი („მილუოლი“, ინგლისი), დენინ დაფი („ბლეკბერნი“, ინგლისი), გეფ შროუ („ბოჰემიანსი“), დეივდ კონოლი („ტოტნჰემი“, ინგლისი), ალან ლი („როტერჰემი“, ინგლისი), რობი კინი, გარი დოჰერტი (ორივე — „ტოტენჰემი“).

ჰაბუკთა შორის მ. მესხის, ს. მეტრეველის, ვ. დარასელიას სახელობის თასების საქართველოს (სამეგრელოს რეგიონის) 2002-2003 წლების ბათამაშებების საბოლოო ცხრილები

მ. მესხის თასი

	ი	ფ	წ	ხ.	ქ.
ოდიში-2001 ზ.	11	0	3	34-7	33
ჭკარი-88 წალ.	11	0	3	31-11	33
კოლხთა ფ.	10	2	2	54-16	32
ეგრისი სენ.	7	2	5	40-20	23
იმედი ლ.ჯ.	7	2	5	31-25	23
ოლიმპია ზ.	4	2	8	25-33	14
ოდიში ზ.	2	0	12	13-64	6
დინამო სენ.	0	0	14	5-57	0

ს. მეტრეველის თასი

	ი	ფ	წ	ხ.	ქ.
კოლხთა ფ.	15	2	3	57-12	47
ოდიში ზ.	14	4	2	65-11	46
ოლიმპია ზ.	14	3	3	60-15	45
მაგე ზ.	5	2	13	26-52	17
განაღლება ხ.	5	1	14	31-64	16
ჭკარი-88 წალ.	1	0	19	10-77	3

შენიშვნა: გათამაშება ჩატარდა წრიული სისტემით ოთხ წრედ

ზედიდის დინამო მოიხსნა გათამაშებიდან, ვინაიდან გუნდს არ ქონდა ჩატარებული თამაშების 50 პროცენტი, ხოლო ნათამაშევი მატჩების შედეგები გაუქმდა და გუნდი ამოღებულ გათამაშების ცხრილიდან.

დარასელიას თასი

	ი	ფ	წ	ხ.	ქ.
ოდიში-2001 ზ.	16	3	1	71-10	51
ფაზისი ფ.	15	3	2	34-8	48
კოლხთა ფ.	12	3	5	29-14	39
ეგრისი სენ.	12	2	6	38-22	38
ოლიმპია ზ.	11	2	7	41-38	35
კოლხთა-2 ფ.	7	6	7	27-19	27
განაღლება ხ.	8	0	12	22-50	24
მაგე ზ.	5	4	11	23-32	19
დინამო სენ.	6	0	14	31-38	18
იმედი ლ.ჯ.	3	1	16	16-58	10
ტაში ზ.	2	2	16	4-45	8



ია. 33-4 33.

საქართველოს XIV ეროვნული ჩემპიონატი შუბაზურთში

შუბაღლეს ლიბაჟი ადგილის შენარჩუნებისთვის გამარჯვული მატჩი

თბილისი. 4 ივნისი. ეროვნული სტადიონი. 2000 მაყურებელი.

„მცხეთა“ (მცხეთა) – „ბორჯომი“ (რუსთავი) 1-0 ჯ.ჯ.

მცხეთა: ოღიკაძე, ლ. ამბროძე, ძაგნიძე, გ. ქუბაძე, კარიაული, ავალიანი, ლ. ჩხაიძე, ჩაჩუა (ჩიტაური 90), თორქია (რაქვიაშვილი 116), ლ. ქუბაძე, არეშიძე (ბელიაძე 63).

გორჩა: ჯანიაშვილი, კეცელაშვილი, არსოშვილი, ი. ბერიძე, ლ. სილაგაძე, ზუ. ლაბაძე, ზ. ლაბაძე (ჰაპაშვილი 60), ფ. ჩოხელი, ბ. ნოზაძე, ადეიშვილი, ლ. ალადაშვილი.

გოლი: 1-0 ლ. ქუბაძე (112).

95-ე წუთზე პენალტი ვერ გაიტანა გ. ქებაძემ.

გააფრთხილეს: ლ. ჩხაიძე (45), დ. ბერიძე (45), კეცელაშვილი (55), გ. ქუბაძე (87), ლ. ალადაშვილი (99).

მსაჯი: ა. შილაკაძე (ობილისი).

„გორდა“ გაჰკარდა, „მცხეთა“ უკანლესია

უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის ბრძოლაში „გორდა“ უკვე შეჩეხებისთვის იყო. ოჯახისვილებმა შარშან ძალოვიერ მატჩში „ჭიაურეთი“ დაჯახეს და ლიგაში ადგილი შეინარჩუნეს, მაგრამ ამჯერად მათ არ გაემართლათ. „გორდა“ უმაღლესიდან გავარდა. არადა, რესპუბლიკა გუნდი იმ კლუბთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, საჭიროებლობის დამოუკიდებლობის დღიდან, ეროვნული პირველობის თითმბერივი ჩემპიონები რომ უთამაშია.

ეროვნულ სტადიონზე გამართულ მატჩში უმაღლესისთვის უფრო მზად, პირველი ლიგის მესამე ადგილობანი „მცხეთა“ აღმოჩნდა და მომავალ სეზონში რესპუბლიკის მცხეთელები შეეცილნან.

მაშ ასე, XV ეროვნულ ჩემპიონატს უმაღლეს ლიგაში სეზონს დაიწყებს სამი დებიუტანტი: ზუგდიდის „ლაზიკა“, ოზურგეთის „მერცხალი“ და „მცხეთა“. მათგან უმაღლესში თამაშის გამოცდილება, მხოლოდ ოზურგეთელს აქვთ. „მერცხალი“ ეროვნული ჩემპიონატის პირველ სამ გათამაშებაში მონაწილეობდა.

პირველ ლიბაჟში უკლეპრის კლუბის გამოსავლენი მატჩი

ფოთი. 4 ივნისი. სტადიონი „ფაზისი“. 500 მაყურებელი.

ლაზიკა (ზუგდიდი) – „მერცხალი“ (ოზურგეთი) 3-2

ლაზიკა: მ. ნაფოტია (ზ. გოგია 46), ა. ნაფოტია, ჭითაძეები, ფიფია, გვაზავა, ქირია, მებინია, ლიპარტია, ს. შელია, იოსავა, ბაკარანძე.

მერცხალი: გოგუა (რობაძე 46), კობაური, კურკუა, მ. მეფანიძე, ბართია, ჯინჭარაული (სიათამ 46), გ. წიფურიძე, გ. დოლიძე, ბრეგაძე, კალანდაძე, ასკურავა (მანჯგიძე 56).

გოლები: 1-0 მებინია (12), 1-1 არჩვაძე (17), 1-2 არჩვაძე (21), 2-2 ლიპარტია (44), 3-2 ლიპარტია (79).

78-ე წუთზე პენალტი ვერ გაიტანა ლიპარტიამ.

მსაჯი: ჰ. დოგარაშვილი (ქუთაისი).

პირველი პირველი „ლაზიკაა“

გუშინწინ, ფოთში პირველი ლიგის საუკეთესო გუნდი „ლაზიკა“-„მერცხალის“ შეხვედრას უნდა გამოეკვლია. მეტოქეებმა თანაბარი ქულებით დასარულეს ლიგის პირველობა დასპეთ, უნდა ოლიმპიადის მონაწილე და ოროზის პრიზიორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, იუროდიულ მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის ფედერაციის იურიდიული უნივერსიტეტის ლექტორი

ჯემალ (ჯაკო) მუმლაძე

და სამხედრის ხუთწლეულის ოქაიხ.

გივი ხოჭოლავა

მე-3 გვერდიდან

ალური თავდამსხმელი გახლდათ, — შეხვედრამ ნახევრადაკვის ხაზზიაც გამოსცდებს, სადაც არცთუ ურიგოდ იითამაშა გივიმ.

ერთი მშვენიერ დღეს კი გივი ხოჭოლავას ჯერი გუნდის დაცვაზეც მიდგა — არც ამ პასუხში შეერცხვინა ზუგდიდელ ფორვარდს თავი, და სულ მალე მან გამოცდილ იბრაგიმ სარჯველაძის ადგილი შეკიცდე დაიმკვიდრა. იმ დროს გივი ხოჭოლავას — ისევი სწრაფი და „ურჩი“ გარჭარბებს მოთვინიერება უხდებოდა, როგორებიც იყვნენ — მეტრეველი, ტატუშინი, ურინი, ბაზილეული და სხვები. სწრაფედ იმხანად შეიქმნა პოპულარული ლეჩი გივი ხოჭოლავაზე, რომელიც ასე ცდერდა:

„მე გივი ვარ ხოჭოლავა,
მეძახიან მოყვილე ხოჭოს
ჩემი წმინდა ვალი არის!..
მტრის თავდასხმა რომ გავუხსნა
და გივი ხოჭოლავაც არაერთი
სასელოვანი ფორვარდი „გაუყოჭავს“.
ისე, რომ არ დავიწყებია მცველისთვის
ერთთან კორეტული თამაში. არავის
ახსოვს მისი უხეშობა ან უტაქტო
საქციელი მოედანზე. იმდროინდელი
საბჭოთა სპორტული კომენტატორები
უადგილ სინიავსკი და ნიკოლაი ოზერაევი
ერთხმად აღნიშნავდა გივი ხოჭოლავას
საოცარ მსგავსებას მოედანზე ულადიმერ ელოშეილთან — ის კი არა და
ხანდახან თბილისის „დინამოს“ გენლეურა დამრიგებელი ანერო ლორდავა
ეუბნებოდა თურმე ორთავეს ჩვეული
იუმორით — „დიაღონ, რომელი ხართ მარცხნიაზე და რომელი მარჯვნიაზე“. რვა სეზონი იცავდა გივი ხოჭოლავა თბილისის „დინამოს“, — ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ღირსების — 1955 წლის სეზონიდან 1962 წლის სეზონის ჩათვლით — ითამაშა 154 კალენდარული მატჩი მის შემადგენლობაში, თუმცა გოლ არ გაუტანია, მაგრამ ზემოთქმული სრულიად არ აკნესებს ჩრდილს მის დიდ დამსახურებას თბილისის ნამდვილი — სამეუხარო მხოლოდ ისია გასლავთ, რომ ასეთი თავდადებული ფეხბურთელი, თანაგუნდელ რეგან მახარაძესთან, ნიკოლოზ თოდრისთან, ელ. ელოშეილთან, კარლო გაგნიძესთან და სხვებთან ერთად ვერ გახდა სპორტის დამსახურებული ოსტატი — თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი ფეხბურთელი ამ წოდების მინიჭებას იმსახურებდა.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, გივი ხოჭოლავა „მშრალად“ არ წასულა ფეხბურთიდან. 1959 წლის 5 ნოემბერს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე სსრ კავშირის თასზე მოსკოვის „სპარტაკთან“ გამართულ მერეფდფინალურ მატჩში — გივი ხოჭოლავამ შეძლო მეორე გადაწყვეტი ბურთის გატანა სპარტაკელთა მკვარე იეკინის კარში და რომ იტყვიან თბილისის „დინამო“ ნამდვილად გაიყვანა — სწორედ ზემოაღნიშნული გახლდათ გოლი, რომელზედაც ოცნებობდნენ ფორვარდები. ზემოაღნიშნულ მატჩში გუნდის კაპიტან ავთანდილ ღოღობერიძის ნაცვლად მაყურებელმა იხილა დებიუტანტი ლევან ქორქანია, რომელმაც თავისი გამოსვლა ასეც გოლით აღნიშნა.

დღეევანდელი გადასახედიდან გივი ხოჭოლავა უნიკალისური ფეხბურთელი გახლდათ, მას ერთნაირად შეეძლო სარგებლობა, როგორც თავდასხმის, ისე ნახევარდაცვისა და დაცვის ხაზში და წარმოდგენეთ გაეჩარების შემთხვევაში მეკარედაც კი.

ჯემეურ ტორაძე

ქართველი ფეხბურთელები და დიდი ექვთიმე თაყაიშვილი

